

ბრექსიტი – საპარლამენტო სუვერენიტეტით მოტივირებული უთანხმოება

აბსტრაქტი – ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო (შემდგომში „მართლმსაჯულების სასამართლო“) მეტად განსხვავდება იმისგან, როგორც ევროპულ „დამფუძნებელ მამებს“ წარმოედგინათ იგი. 1952 წლიდან, ანუ მისი დაარსებიდან, მართლმსაჯულების სასამართლომ მოახერხა ევროპის კონსტიტუციურ მოწყობაში ცენტრალური ადგილი დაეკავებინა, შეასრულა რა გადამწყვეტი მნიშვნელობის როლი თანამეგობრობის ინტეგრაციისა და კონსტიტუციონალიზაციის პროცესში. სამართლებრივ ნორმათა განმარტების სხვადასხვა მეთოდისა და თვითგაძლიერებაზე ორიენტირებული მოცულობითი პრეცედენტული სამართლის დახმარებით, მართლმსაჯულების სასამართლო, ევროპული ინსტიტუციური მოდელის ფარგლებში, გადაიქცა სხვათა თანახმად და დამოუკიდებელ ინსტიტუციად. თანამედროვე მეცნიერებაში ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს განვითარებული პრაქტიკა ფართოდ განიხილება, როგორც წარმატების მაგალითი, თუმცა, მასთან დაკავშირებით ასევე არსებობს მთელი რიგი ნაკლოვანებები და ხარვეზები. 2016 წლის 23 ივნისს, ბრიტანელების 52%-მა, შეზღუდული საპარლამენტო სუვერენიტეტის სახელით, ხმა მისცა ევროკავშირის დატოვებას, რათა „დაებრუნებინათ კონტროლი“ მართლმსაჯულების სასამართლოსგან. ამ მხრივ, წინამდებარე ნაშრომი ამტკიცებს, რომ ბრექსიტის ფენომენის მოკვლევა საჭიროა მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ განხორციელებული „კონსტიტუციონალიზაციის“ ფონზე წარმოქმნილი წინააღმდეგობის კონტექსტში. კერძოდ, ნაშრომში განხილულია ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს, როგორც „განხეთქილების“ ფაქტორის, გავლენა ბრექსიტზე.

საკვანძო სიტყვები: ბრექსიტი; ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო; საპარლამენტო სუვერენიტეტი; კონსტიტუციური წინააღმდეგობა; კონსტიტუციური იდენტობა.

„საპარლამენტო სუვერენიტეტის პრინციპი გულისხმობს, ... რომ, ინგლისის კონსტიტუციით, პარლამენტი უფლებამოსილია, მიიღოს ან გააუქმოს ნებისმიერი კანონი და, უფრო მეტიც, რომ, ინგლისური სამართლის თანახმად, არც ერთ პირს ან ორგანოს არ აქვს იმის უფლება, რომ პარლამენტის მიერ დადგენილი კანონმდებლობა უარყოს ან გააუქმოს.“²

შესავალი

ევროკავშირის ინტეგრაციის პროცესში მართლმსაჯულების სასამართლოს გავლენასა და სამართლის ბუნებაზე მსჯელობისას, მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იყოს, რომ ევროპული სასამართლის იდენტობა მრავალსახოვანია და აქვს, სულ მცირე, ორი კონტექსტურად განსხვავებული მნიშვნელობა. ევროკავშირის სამართლებრივი წესრიგი, ერთი მხრივ, ყოველთვის იყო ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი, რომლის გამოყენებითაც, ეროვნული პოლიტიკის წინააღმდეგობის პარალელურად, მიიღწეოდა ინტეგრაციის მიზნები, სადამფუძნებლო დოკუმენტებში განმტკიცებული პოლიტიკური პრეფერენციებით ზღუდავდა რა წევრ სახელმწიფოთა მიერ კონფლიქტური მდგომარეობის გაღვივების შესაძლებლობას. მეორე მხრივ კი, ევროკავშირის სამართალი თავად ჩამოყალიბდა

¹ სტატია მომზადდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტის ინგლისურენოვანი ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის კურსის „ევროკავშირის მმართველობა და პოლიტიკა, ევროინტეგრაციის თეორიები“ ფარგლებში ნინო ლაპიაშვილის ხელმძღვანელობით, ელექტრონული ფოსტა: ivakhavtasi@gmail.com

² იხ. Albert V. Dicey, “Introduction to the Study of the Law of the Constitution”, Liberty Fund ed., (1915): 87, ხელმისაწვდომია https://files.libertyfund.org/files/1714/0125_Bk.pdf

ინტეგრაციის პროცესის *sui generis* პროდუქტად, რომლის დანიშნულება გახდა სადავო პოლიტიკური და სოციალური საკითხების განხილვისთვის ერთგვარი მედიუმის შექმნა.³ ამ მხრივ, ევროკავშირის სამართლებრივი წესრიგის როლი და, შესაბამისად, მართლმსაჯულების სასამართლოს უფლებამოსილებები წევრ სახელმწიფოებთან მიმართებით, ინტეგრაციის მიმდინარეობის პარალელურად, თანდათან გაფართოვდა.⁴

სამართლის კონტინენტური თეორიის თანახმად, სასამართლოს როლი არის სამართლებრივი ნორმების შეფარდება და არა მათი შექმნა, მაგრამ ნორმის შეფარდების თითოეული შემთხვევა საჭიროებს მოძველებული სამართლებრივი დებულებების განმარტებას, რაც მოხერხებული სასამართლოს ხელში შეიძლება გადაიქცეს შეუზღუდავ ძალაუფლებად. რაც უფრო ზოგადი და ბუნდოვანია კანონმდებლობა, მით უფრო მეტი საშუალება ეძლევათ სასამართლოებს, ნორმათა განმარტების სხვადასხვა მოქნილი მეთოდის გამოყენებით, როგორცაა, მაგალითად, ტელეოლოგიური მიდგომა, განსაზღვრონ პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე ნორმატიული წესები.⁵ გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ხაზგასმით აღინიშნოს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც განმარტავს ევროკავშირის პირველადი კანონმდებლობას, ეროვნული მთავრობების მიერ შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ ხელშეკრულების გადასინჯვის პროცედურით, რაც საჭიროებს ერთსულოვან თანხმობას და წევრი სახელმწიფოების მიერ რატიფიცირებას. ამდენად, თანამეგობრობის კანონმდებლობის განმარტების უფლებამოსილება არის უაღრესად მნიშვნელოვანი შესაძლებლობა იმ პირობებში, როდესაც ცალკეულ სახელმწიფოთა უნარი, გააუქმონ სასამართლოს გადაწყვეტილება, უკიდურესად შეზღუდულია.⁶ ამდენად, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო განსაკუთრებული ინტერესის საგანია, რადგან იგი თანამეგობრობის სამართლის გავლენიანი ინტერპრეტატორია და “უზრუნველყოფს კანონის დაცვას ხელშეკრულებების განმარტებისა და გამოყენების პროცესში.”⁷

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია ყოველთვის იყო მოეძებნა და დაემყარებინა ბალანსი სადამფუძნებლო ხელშეკრულებების მოთხოვნებსა და წევრ სახელმწიფოთა ინტერესებს შორის. არსებობის ადრეული პერიოდიდანვე, მართლმსაჯულების სასამართლო ჩამოყალიბდა ევროპული ინტეგრაციის გამწვანებელი და მის ერთგვარ მცველად, რამდენადაც სასამართლოს დადგენილი პრაქტიკისთვის დამახასიათებელი იყო სადამფუძნებლო დოკუმენტების ტელეოლოგიური ინტერპრეტაცია და, ამ მხრივ, საბაზრო ინტეგრაციის ეფექტური განხორციელება-გაფართოება.⁸ ამ კონტექსტში, მართლმსაჯულების სასამართლოს ჩართულობის ტენდენცია შეიმჩნევა არა მხოლოდ კლასიკურ სამართლებრივ სფეროებში, არამედ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების სხვა საქმიანობაშიც, აღნიშნული ფენომენი კი ცნობილია „პოლიტიკის სასამართლოსთვის მიკუთვნების“ სახელით.⁹ ამდენად, გონივრულია ის მტკიცება, რომლის თანახმად ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო ან სხვა სიტყვებით, ევროპული კავშირის კვაზი-კონსტიტუციური სასამართლო მიჩნეულია კავშირის საბაზრო და პოლიტიკური ინტეგრაციის მამოძრავებელ ძალად.¹⁰

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს ადრეული წარმატება შეიძლება აიხსნას სხვადასხვა ფაქტორით. ერთი მხრივ, სასამართლომ დამოუკიდებლად გააფართოვა სამართლებრივი უფლებამოსილება თავისი პრეცედენტული სამართლით, დააფუძნა რა პირველადი პოზიცია, რომლის თანახმად ევროპული თანამეგობრობა ემყარება სამართლის უზენაესობის პრინციპს. ამდენად, „როგორც წევრ სახელმწიფოებს, ისე მის ინსტიტუტებს არ შეუძლიათ, თავი აარიდონ კონტროლის მექა-

³ nb. Mark Dawson and Floris deWitte, “From Balance to Conflict: A New Constitution for the EU”, *European Law Journal*, Vol. 22, No. 2 (2011): 221.

⁴ nb. Dieter Grimm, “The Democratic Costs of Constitutionalisation: The European Case,” 21 *EUR. L.J.* 460 (2015): 466.

⁵ nb. Henry G. Schermers, “The European Court of Justice: Promoter of European Integration”, 22 *AM. J. COMP. L.* 444 (1974): 453.

⁶ nb. Kenneth A. Armstrong, *Brexit Time: Leaving the EU- Why, How and When?*, Cambridge University Press, (2017): 118-119.

⁷ nb. Article 19, Consolidated versions of the Treaty on European Union and the Treaty on the Functioning of the European Union (TEU), ხელმისაწვდომია [Consolidated version of the Treaty on European Union \(europa.eu\)](https://eur-lex.europa.eu/ContentServer/Content/consolidated_version_of_the_treaty_on_european_union/europa.eu)

⁸ nb. Jürgen Schwarze, “Balancing EU Integration and National Interests in the Case-Law of the Court of Justice”, in “The Court of Justice and the Construction of Europe: Analyses and Perspectives on Sixty Years of Case-Law”, Springer, Luxembourg, (2013): 257.

⁹ nb. Riaan Eksteen, “The Role of the Highest Courts of the United States of America and South Africa, and the European Court of Justice in Foreign Affairs”, Springer, (2019): 321.

¹⁰ nb. Roland Vaubel, “Constitutional Courts as promoters of political centralization: lessons for the European Court of Justice”, *Eur J Law Econ*, Springer (2009): 204-204.

ნიზმს, რომლის ფარგლებშიც მონმდება მათ მიერ გატარებული ღონისძიებები არის თუ არა შესაბამისობაში ძირითად კონსტიტუციურ მოდელთან“, ამ მხრივ კი, სადამფუძნებლო ხელშეკრულებებმა „შექმნეს სამართლებრივი დაცვისა და პროცედურების სისტემა, რომელიც აძლევს მართლმსაჯულების სასამართლოს საშუალებას, რომ შეაფასოს ინსტიტუტების მიერ განხორციელებული ღონისძიებების კანონიერება.“¹¹ მართლმსაჯულების სასამართლოს წარმატების მიზეზი, მეორე მხრივ, არის ეროვნული აქტორების თავშეკავებული, თუმცა, შემწყნარებელი დამოკიდებულება სასამართლოს ამგვარი პრაქტიკის მიმართ. მაგალითად, ეროვნულ სასამართლოებს შორის ერთ-ერთ ყველაზე ურყევ ინსტიტუტს, გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს დიდი ხნის წინ აქვს დამკვიდრებული სტანდარტი, რომლის თანახმად თანამეგობრობის ხელშეკრულებებს გააჩნიათ ავტონომიური მნიშვნელობა და მოქმედების პირდაპირი ეფექტი,¹² ხოლო ევროპულ სასამართლოს აქვს ამ ხელშეკრულებების განმარტების ექსკლუზიური უფლებამოსილება.¹³

დღესდღეობით, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო მოქცეულია ევროპული კონსტიტუციური წესრიგის შუაგულში, სადაც მონინავე როლი აკისრია ინტეგრაციისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. შესაბამისად, ეს ინსტიტუტი უნდა იყოს პასუხისმგებელი ევროკავშირის არსებული მოდელის როგორც წარმატებებზე, ისე მის წარუმატებლობაზე. ბრექსიტის რეფერენდუმის დღეს ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, ევროკავშირიდან გასვლის სურვილის მქონე ამომრჩევლის თითქმის ნახევარზე მეტმა განაცხადა, რომ მათი ნების განმაპირობებელი ყველაზე დიდი ფაქტორი იყო „პრინციპი, რომ გაერთიანებული სამეფოს შესახებ გადაწყვეტილებები უნდა მიიღებოდეს დიდ ბრიტანეთში“.¹⁴ წინამდებარე ნაშრომი ამტკიცებს, რომ, ბრექსიტის რეფერენდუმის ზოგად კონტექსტში, მართლმსაჯულების სასამართლოს მზარდი გავლენა გახდა ერთ-ერთი მთავარი განხეთქილების მიზეზი ანდაც წითელი ხაზი. სხვა სიტყვებით, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მუდმივად მზარდი გავლენა აღიქმებოდა, როგორც დიდი ბრიტანეთის კონსტიტუციური იდენტობის ხელყოფა. ამ მხრივ, ნაშრომის პირველი ნაწილი მიმოიხილავს სასამართლოს მცდელობას ევროკავშირის სამართლებრივი წესრიგი გარდაეჭმნა კონსტიტუციურ მოწყობად; რა გარემოებებმა მოახდინა გავლენა ამ განზრახვის განხორციელებაზე და შეიძლება თუ არა ჩაითვალოს ეს გეგმა შესრულებულად. მეორე ნაწილში კი არის წარმოდგენილი მართლმსაჯულების სასამართლოს მიმართ ბრიტანეთში არსებული ნეგატიური დამოკიდებულების ახსნის მცდელობა და ამ კონტექსტში განხილულია რამდენიმე გადაწყვეტილება, რომელთაც პირდაპირი გავლენა ჰქონდათ ბრექსიტის შედეგებზე.

კონსტიტუციონალიზაცია კონსტიტუციის გარეშე – ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიმდინარე პროექტი

სახალხო სუვერენიტეტი და თანამედროვე კონსტიტუციები, როგორც წესი, განიხილებიან, როგორც შემავსებელ და არა – ურთიერთგამომრიცხავ ცნებებად. თუმცა, მას შემდეგ, რაც სამართლებრივი ნორმა განისაზღვრება კონსტიტუციურ დონეზე, ის აღარ არის ჩვეულებრივი პოლიტიკისთვის და კლასიკური თვალსაზრისით, გადაწყვეტილების ძიების პროცესისთვის ღია, რადგან მისი სტატუსი მყარი, ხოლო გადასინჯვა – რთული ხდება. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ კონსტიტუციაში განმტკიცებული რეგულირება ნაწილობრივ ამოირიცხება დემოკრატიას დაქვემდებარებული განხილვებიდან.¹⁵ ამ მხრივ საინტერესოა ევროპული ტრანსფორმაციის გამოცდილება და მისი კონსტიტუციური ბუნება.

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო სადამფუძნებლო ხელშეკრულებებს 1960-იანი წლების შუა ხანებიდან გარდაქმნის კვალი-კონსტიტუციურ ტრადიციად და პროტოფედერალური მმა-

¹¹ nb. Case C-294/83 (ECR 1339)—Parti écologiste “Les Verts” v. European Parliament 1986, ხელმისაწვდომია [EUR-Lex – 61983CJ0294 – EN – EUR-Lex \(europa.eu\)](https://eur-lex.europa.eu/lexuris/ui.do?uri=CELEX:61983CJ0294-EN-1)

¹² nb. Beschluß Des Ersten Senats vom 18. Oktober 1967 – 1 BvR 248/63 und 216/67, ხელმისაწვდომია [DFR – BVerfGE 22, 293 – EWG-Verordnungen \(unibe.ch\)](https://www.bverfge.de/verfge/verordnungen/1967-10-18-1-bvr-248-63-und-216-67)

¹³ nb. Beschluß des Zweiten Senats vom 8. April 1987 – 2 BvR 687/85, ხელმისაწვდომია [DFR – BVerfGE 75, 223 – Kloppenburg-Beschluß \(unibe.ch\)](https://www.bverfge.de/verfge/verordnungen/1987-04-08-2-bvr-687-85)

¹⁴ nb. Lord Ashcroft, “How the United Kingdom voted on Thursday...and why”, 24 June, 2016, ხელმისაწვდომია [How the United Kingdom voted on Thursday... and why – Lord Ashcroft Polls](https://www.ashcrofts.com/en/insights/2016/06/24/how-the-united-kingdom-voted-on-thursday-and-why/)

¹⁵ nb. Dieter Grimm, “The Democratic Costs of Constitutionalisation: The European Case”, 21 EUR. L.J. 460 (2015): 460.

რთველობის ფორმად.¹⁶ დაარსებიდანვე, სასამართლოს იურისპრუდენცია უფრო მეტად ხასიათდებოდა უნიკალური კონსტიტუციური, ვიდრე წმინდა საერთაშორისო ტრადიციით. ამ მხრივ, სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ყოველთვის იყო ევროპული თანამეგობრობის კონსტიტუციური სტრუქტურის ზოგიერთი ძირითადი მახასიათებლის ჩამოყალიბებისთვის ერთ-ერთი მთავარი წყარო, მათ შორის, თუმცა, არა მხოლოდ: ევროპული კავშირის სამართლის პირდაპირი მოქმედების ეფექტი წევრ სახელმწიფოებში,¹⁷ ევროკავშირის სამართლის უზენაესობა¹⁸ და ევროპული კავშირის კანონმდებლობასთან შეუთავსებლობისთვის წევრი სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შესახებ ზოგადი პრინციპი.¹⁹ მითითებული გადაწყვეტილებები განამტკიცებენ თანამეგობრობის სამართლის უზენაესობას და შესაბამისად, კონსტიტუციურ იდეას, რომ წევრმა სახელმწიფოებმა სუვერენიტეტის ნაწილი გადასცეს ევროპულ გაერთიანებას. გარდა ამისა, მართლმსაჯულების სასამართლომ ადრევე შეიმუშავა კლასიკური კონსტიტუციონალიზმის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი, რომ თანამეგობრობის სამართლებრივი წესრიგი ავტონომიურია და ზოგიერთი სადამფუძნებლო დებულება არ ექვემდებარება სამთავრობათაშორისო გადასინჯვას.²⁰

ასეთი მყარად დამკვიდრებული, გავლენიანი და ფართოდ გავრცელებული პრეცედენტული სამართლის ფონზე, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს კონსტიტუციური პრაქტიკა ეროვნული აქტორების, მათ შორის სასამართლოების, ფრთხილი წინააღმდეგობის სამიზნეც გამხდარა. მართლმსაჯულების სასამართლოს იურისპრუდენცია, *inter alia*, არის ზენაციონალურ ინსტიტუტსა და ეროვნულ სასამართლოებს შორის სიმბიოზური და რთული დიალექტიკური ურთიერთობის პროდუქტი.²¹ მაგალითად, გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ 1974 წელს მიიჩნია, რომ თანამეგობრობის სამართალი არ იყო სრულიად კონსტიტუციონალიზებული მაშინ, როდესაც იგი არ მოიცავდა „ძირითადი კანონით“ გარანტირებული ფუნდამენტური უფლებების კატალოგს. შედეგად, გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ შეინარჩუნა უფლებამოსილება, შეემომბებინა ევროპული თანამეგობრობის მეორეული კანონმდებლობის კონსტიტუციურობა, რადგანაც დაასკვნა, რომ ეროვნულ სასამართლოებს ჰქონდათ შესაძლებლობა, კითხვის ნიშნის ქვეშ დაეყენებინათ კავშირის გასაჩივრებული ზომების მართებულობა „ძირითადი კანონით“ გარანტირებულ ფუნდამენტურ უფლებებთან მიმართებით მანამ, სანამ („Solange“) თანამეგობრობის ინტეგრაციისთვის დამახასიათებელი იყო ამგვარი დემოკრატიული დეფიციტი.²²

მიუხედავად ასეთი კონტრეაქციისა, კონსტიტუციონალიზაციის შესახებ ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მცდელობას მალევე, 1980-იანი წლების ბოლოს, წამოეწია ევროპული თანამეგობრობის დაჩქარებული ინტეგრაცია. კერძოდ, 1986 წლის „ერთიანი ევროპული აქტის“ შემდეგ, საბაზრო ინტეგრაცია გადაიქცა სამთავრობათაშორისო აქტორებისთვის მთავარ ეროვნულ ინტერესის საგნად. აქედან გამომდინარე, მართლმსაჯულების სასამართლოს პრეცედენტული სამართალი და მისი სამართლებრივი სტანდარტები უფრო გავლენიანი გახდა. მსგავსი პროცესი კიდევ უფრო განვითარდა „მაასტრიხტის ხელშეკრულებისა“ და „შენგენის შეთანხმების“ შემდეგ. ამ მხრივ, საყურადღებოა გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 1986 წელს მიღებული კიდევ ერთი გადაწყვეტილება, რომლითაც საკონსტიტუციო სასამართლომ აღიარა თანამეგობრობის განვითარება მეტი ინტეგრაციისა და ფუნდამენტური უფლებების დაცვისკენ, თუმცა, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს სასარგებლოდ მაინც არ დათმო თავისი უფლებამოსილება კო-

¹⁶ nb. Morten Rasmussen and Dorte S. Martinsen, “EU constitutionalisation revisited: Redressing a central assumption in European studies”, *European Law Journal* Vol. 25, Issue 3, 251.

¹⁷ nb. Judgment of the Court, Van Gend & Loos, Case 26-62 (1963), ხელმისაწვდომია [Judgment of the Court, Van Gend & Loos, Case 26-62 \(5 February 1963\) – CVCE Website](#)

¹⁸ nb. Judgement of the Court, Flaminio Costa v ENEL, Case 6/64 (1964), ხელმისაწვდომია <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:61964CJ0006&from=EN>

¹⁹ nb. Judgment of the Court, Andrea Francovich and Danila Bonifaci and others v Italian Republic, Joined cases C-6/90 and C-9/90 (1991), ხელმისაწვდომია [resource.html \(europa.eu\)](#)

²⁰ nb. 1/91 Opinion of the Court of 14 December 1991, ხელმისაწვდომია [EUR-Lex – 61991CV0001 – EN – EUR-Lex \(europa.eu\)](#)

²¹ nb. Eric Stein, Lawyers, “Judges, and the Making of a Transnational Constitution”, 75 *AM. J. INT’L L.* 1 (1981): 1.

²² nb. Beschluß des Zweiten Senats vom 29. Mai 1974 -- BvL 52/71, ხელმისაწვდომია [DFR – BVerfGE 37, 271 – Solange I \(unibe.ch\)](#)

ნსტიტუციური კონტროლის შესახებ. მითითებული გადაწყვეტილებით ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ განუსაზღვრელი ვადით თქვა უარი თავისი უფლებამოსილებაზე შეემონებინა თანამეგობრობის მეორეული კანონმდებლობის კონსტიტუციურობა.²³ ეს გადაწყვეტილება გახდა ევროკავშირის სამართლის უზენაესობისა და მართლმსაჯულების სასამართლოს იურისპრუდენციის/ იურისდიქციის დე ფაქტო აღიარება ევროპის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი სასამართლოს მიერ.²⁴

გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული ორი გადაწყვეტილება კარგად ასახავს ევროპული კავშირისა და მართლმსაჯულების სასამართლოს კონსტიტუციური ტრადიციის პროგრესს, თუმცა, მითითებული მიღწევა არ ყოფილა კოდიფიცირებული/სისტემურად განსაზღვრული. ამდენად, ევროკავშირს არ ჰქონია ე.წ. „კონსტიტუციური მომენტი“ და განიცდის სახალხო (პოპულარული) ლეგიტიმაციის ნაკლებობას. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ განვითარებული კონსტიტუციური წესრიგის კოდიფიკაციისა და შედეგად, არსებული უკმარისობის გამოსწორების შესაძლებლობა წარმოდგენილი იყო 2001 წელს, როდესაც სამთავრობოთაშორისო კონფერენციამ დაიწყო მუშაობა საკონსტიტუციო რეფორმაზე და მოლაპარაკებები კონსტიტუციურ ხელშეკრულებაზე. თუმცა, რატიფიკაციის პროცესი ჩაიშალა, როდესაც საფრანგეთისა და ნიდერლანდების ამომრჩევლებმა უარყვეს ფედერალისტების კონსტიტუციური მისწრაფება. ამ მხრივ, 2008 წლის ლისაბონის ხელშეკრულებამ განსაზღვრა ზოგიერთი ძირითადი ინსტიტუციური რეფორმა, მაგრამ კონსტიტუციური კონოტაციების გარეშე.²⁵

შეიძლება დასკვნის გამოტანა, რომ 1960-იანი წლებიდან ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ შემუშავებული კონსტიტუციონალიზაციის ტრადიცია სხვადასხვა დროს ეჭვქვეშ დადგა ეროვნული აქტორების, კერძოდ, სასამართლოების მიერ, რომლებიც წარმოადგენდნენ ეროვნულ იდენტობასა და კონსტიტუციურ წინააღმდეგობას. 1980-იანი წლების ბოლოდან ევროკავშირის ინტეგრაციის დაჩქარებამ თითქოს სასწორის პინა მართლმსაჯულების სასამართლოს მითითებული ამბიციის სასარგებლოდ გადახარა. თუმცა, ევროპული კონსტიტუციონალიზაციის არასისტემური ბუნება ძირითად პრობლემად რჩებოდა. 2000-იანი წლების დასაწყისის უნაყოფო მცდელობები კი, რომლებიც დაკავშირებული იყო ევროპის კონსტიტუციის რეფორმასთან, არსობრივად შეენიწაღმდეგა მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ განვითარებულ მრავალწლიან დღის წესრიგს. შედეგად, ორი დაპირისპირებული კონცეფცია, კონსტიტუციური ტრადიცია და კონსტიტუციური წინააღმდეგობა, განაგრძობს არსებობას, თუმცა, ზუსტი კონოტაციების გარეშე.

გაერთიანებული სამეფოს კონსტიტუციური იდენტობის სახელით მოტივირებული უთანხმოება ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიმართ

ძალაუფლების დანაწილებისა და სახელმწიფო მმართველობის შესახებ ვესტმინსტერის სისტემა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს პარლამენტის სუვერენიტეტს. ეს არის ის, რაც განსაზღვრავს ბრიტანეთის კონსტიტუციურ იდენტობას.²⁶ ამდენად, როდესაც საუბარია ბრექსიტისა და ევროსკეპტიციზმის მიზეზებზე დიდ ბრიტანეთში, გარდა სოციალურ-ეკონომიკური ასპექტებისა, როგორებიცაა პარტიულობა, ეკონომიკური შეხედულებები და მიგრაცია,²⁷ აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს პარლამენტის სუვერენიტეტის აღდგენის კონცეფციაზე, რომელიც, უმრავლესობის აზრით, ჩამორთმეული იყო ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსა და მისი დადგენილი პრაქტიკის მიერ.²⁸

²³ nb. Beschluß des Zweiten Senats vom 22. Oktober 1986 -- 2 BvR 197/83, ხელმისაწვდომია [DFR – BVerfGE 73, 339 – Solange II \(unibe.ch\)](#)

²⁴ nb. Justin Collings, "Democracy's guardians: a history of the German Federal Constitutional Court 1951-2001", Oxford University Press, USA, (2015): 206.

²⁵ nb. Morten Rasmussen and Dorte S. Martinsen, "EU constitutionalisation revisited: Redressing a central assumption in European studies", European Law Journal Vol. 25, Issue 3, 269.

²⁶ nb. Christian Calliess and Gerhard Van der Schyff, "Constitutional Identity in a Europe of Multilevel Constitutionalism" in "Constitutional Identity in a Europe of Multilevel Constitutionalism", Edited by Christian Calliess, (2019): 288.

²⁷ nb. Sofia Vasilopoulou, "UK Euroscepticism and the Brexit Referendum", The Political Quarterly, Vol. 87, No. 2, April-June 2016.

²⁸ ბორის ჯონსონმა ბრექსიტის რეფერენდუმის წინ გამართული კამპანიის ფარგლებში განაცხადა, რომ ევროკავ-

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო ევროპულ თანამეგობრობას თავიდანვე მიიჩნევდა სამართლებრივ წესრიგად, რომელშიც წევრმა სახელმწიფოებმა შეიზღუდეს თავიანთი სუვერენული უფლებები.²⁹ შესაბამისად, როდესაც გაერთიანებული სამეფო შეუერთდა ევროპის ეკონომიკურ თანამეგობრობას 1973 წელს, გონივრულია ვივარაუდოთ, რომ საპარლამენტო უზენაესობის მიმართ არსებული შეზღუდვები ნებაყოფლობით იქნა მოწონებული პარლამენტის მიერ „თანამეგობრობის შესახებ“ აქტის მიღებისას. მიუხედავად ამისა, სუვერენიტეტის დაბრუნების კონცეფცია ცენტრალური საკითხი გახდა ბრექსიტის შესახებ მიმდინარე კამპანიის დროს. მაგალითად, აღინიშნა, რომ რეფერენდუმი ეხებოდა „გადაწყვეტილების მიღებას, დაემორჩილონ თუ არა კვაზი-აღმასრულებელი უფლებამოსილებების მქონე კომისიას, რომელიც უფრო მეტად ჩამოჰგავდა მე-13 საუკუნის პაპის სამღვდლოებას, ვიდრე თანამედროვე საჯარო სამსახურს. და დაექვემდებარონ თუ არა მართლმსაჯულების სასამართლოს, რომელიც გასაჩივრების უფლების არარსებობის პირობებში პრეტენზიას აცხადებს უზენაესობაზე.“³⁰

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მუდმივად მზარდი პრაქტიკა და მისი კომპლექსური გავლენა გაერთიანებული სამეფოს სამართლებრივ სისტემაზე შემჩნეული იყო ევროპულ თანამეგობრობაში ინტეგრაციის საწყის ეტაპზევე. ლორდ დენინგმა, გაერთიანებული სამეფოს ერთ-ერთმა გამორჩეულმა მოსამართლემ 1979 წელს აღნიშნა: „თანამეგობრობის სამართლის დინება სწრაფია. იგი წყალდიდობას არაფრად აგდებს. მან დაამტვრია დამბები და ნაპირები, დატბორა მიმდებარე მიწები. იმდენად, რომ ჩვენ უნდა ვისწავლოთ და გავხედოთ ამფიბიები, თუ გვსურს თავი გადავირჩინოთ.“³¹ თუმცა, მითითებული გავლენა არც ცალმხრივი იყო და არც მსუბუქად მიღებული, რადგანაც ბრიტანული სამართლებრივი ტრადიცია ძალზე კონსერვატიული და რთული აღმოჩნდა მარტივი ევოლუციისთვის.

გაერთიანებული სამეფოს პარლამენტსა და ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს შორის სუვერენიტეტის საკითხი პირველად დიდი საზოგადოებრივი ინტერესის საგანი გახდა ერთ-ერთ პრეცედენტულ საქმეში, რომლის ფარგლებშიც გასაჩივრებული იყო რეგულაცია, რომელიც გაერთიანებულ სამეფოში დასარეგისტრირებლად მოითხოვდა, გემს ჰყოლოდა ბრიტანელი მფლობელები უმრავლესობაში.³² ამ რეგულაციით თავდაპირველად შეიზღუდა ბრიტანეთის წყლებზე წვდომა და იგი შემოღებული იყო კონსერვატიული მთავრობის მიერ.³³ გრძელვადიანმა და მრავლისმომცველმა სამართალწარმოებამ, რომელიც მიმდინარეობდა როგორც ეროვნულ სასამართლოებში, ასევე, მართლმსაჯულების სასამართლოში, საბოლოოდ, დაადასტურა ევროკავშირის სამართლის უზენაესობა გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობაზე იმ სფეროებში, რომლებზეც ევროკავშირს ჰქონდა ექსკლუზიური უფლებამოსილება. ამ გადაწყვეტილების ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი გახდა ის ფაქტი, რომ შედეგად ლორდთა პალატას მიენიჭა უფლებამოსილება, ეხელმძღვანელა 1998 წლის „ადამიანის უფლებათა აქტით“ და დაედლია გაერთიანებული სამეფოს პარლამენტის ის კანონი, რომელიც შეენიშნა აღმდგებოდა ევროკავშირის კანონმდებლობას.³⁴ ამ საქმის ფაქტობრივი შედეგები, კერძოდ კი, სასამართლოსთვის პარლამენტის დაძლევის უფლებამოსილების მინიჭება ეწინააღმდეგებოდა დიდი ბრიტანეთის კონსტიტუციურ იდენტობას.³⁵ ფართოდ გავრცელებულია მოსაზრება, რომ

ვშირში დარჩენა იქნებოდა „ამ ქვეყანაში საპარლამენტო დემოკრატიის განგრძობითი და სავალალო ეროვნის ტოლფასი“, იხ. Macer Hall, „Boris Johnson urges Brits to vote Brexit to ‘take back control’“, Express, 20 June, 2016, ხელმისაწვდომია [Boris Johnson urges Brits to vote Brexit to ‘take back control’ | Politics | News | Express.co.uk](https://www.express.co.uk/Politics/News/1384841/boris-johnson-urges-brits-to-vote-brexit-to-take-back-control)

²⁹ იხ. Judgment of the Court, Van Gend & Loos, Case 26-62 (1963), ხელმისაწვდომია [Judgment of the Court, Van Gend & Loos, Case 26-62 \(5 February 1963\) – CVCE Website](https://eur-lex.europa.eu/legislation/cases/cases_en.htm?uri=CELEX:61963J0026:en:HTML)

³⁰ იხ. Ambrose Evans-Pritchard, „Brexit vote is about the supremacy of Parliament and nothing else: Why I am voting to leave the EU“, The Telegraph, 13 Jun 2016, ხელმისაწვდომია [Brexit vote is about the supremacy of Parliament and nothing else: Why I am voting to leave the EU \(telegraph.co.uk\)](https://www.telegraph.co.uk/news/2016/06/13/brexit-vote-is-about-the-supremacy-of-parliament-and-nothing-else-why-i-am-voting-to-leave-the-eu/)

³¹ იხ. Shields v. E Coomes (Holdings) Ltd. [1979] 1 All ER 456, 462., ხელმისაწვდომია [Shields v. E. Coomes \(Holdings\) Ltd – Case Law – VLEX 793546717](https://www.bailii.org/uk/other/uksc/cases/1979/19790111.html)

³² იხ. R (Factortame Ltd) v Secretary of State for Transport, Case C-213/89, 1990, ხელმისაწვდომია [EUR-Lex – 61989CJ0213 – EN – EUR-Lex \(europa.eu\)](https://eur-lex.europa.eu/legislation/cases/cases_en.htm?uri=CELEX:61989CJ0213:en:HTML)

³³ იხ. Merchant Shipping Act 1988, ხელმისაწვდომია [Merchant Shipping Act 1988 \(legislation.gov.uk\)](https://www.legislation.gov.uk/ukpga/1988/11/section/1)

³⁴ იხ. Human Rights Act, ხელმისაწვდომია [Human Rights Act 1998 \(legislation.gov.uk\)](https://www.legislation.gov.uk/ukpga/1998/42/section/1)

³⁵ იხ. „The Supremacy of European Community Law“, ხელმისაწვდომია [The Supremacy of European Community Law \(lawteacher.net\)](http://www.lawteacher.net/essays/european-law/the-supremacy-of-european-community-law.htm)

ამ საქმეს, რომელიც ხშირად განიხილება, როგორც *Marbury v. Madison*-ის³⁶ პრეცედენტული გადაწყვეტილების ბრიტანული ვარიანტი, ჰქონდა შოკური გავლენა ბრიტანულ სამართლებრივ და პოლიტიკურ ტრადიციაზე, რამაც „მაასტრიხტის ხელშეკრულებასთან“ ერთად შექმნა საფუძველი ევროსკეპტიციზმის ახალი ტალღისთვის.³⁷

მას შემდეგ, რაც გაერთიანებული სამეფო გახდა ევროპული თანამეგობრობის წევრი, ბრიტანეთის პოლიტიკურმა აქტორებმა და მოსახლეობამ მართლმსაჯულების სასამართლოს რამდენიმე გადაწყვეტილება გააკრიტიკა, მიჩნეული იქნა რა, თავდაპირველად დადგენილ იურისდიქციასთან შეუთავსებლად. ამდენად, სასამართლოს მიმართ უკმაყოფილება, ძირითადად კი, კონსტიტუციონალიზაციის ტრადიციასთან დაკავშირებით გროვდებოდა ევროკავშირში ბრიტანეთის წევრობის 47-წლიანი პერიოდის განმავლობაში. თუმცა, ნაშრომის მიზნებისთვის რელევანტურია ორი გადაწყვეტილების და მათი გავლენის მიმოხილვა, რომლებიც მიღებული იყო ბრექსიტის რეფერენდუმამდე პერიოდში და მალევე რეფერენდუმის შემდეგ.

2016 წლის თებერვალში, ბრექსიტის რეფერენდუმამდე ოთხი თვით ადრე, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გენერალურმა ადვოკატმა ნარადგინა წინასწარი მოსაზრება,³⁸ რომლის თანახმად გაერთიანებული სამეფოს შინაგან საქმეთა მინისტრს არ შეეძლო ევროკავშირის არანევრი სახელმწიფოს იმ მოქალაქის დეპორტაცია, რომელსაც ჰყავდა ბრიტანეთში დაბადებული შვილი, მხოლოდ იმის გამო, რომ მას ჰქონდა კრიმინალური ისტორია კონტრაბანდის შეტანისთვის, თუ იგი დამატებით არ ემნიშვნა საფრთხეს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისთვის (საგამონაკლისო ღონისძიება).³⁹ საქმეზე არსებული ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, ქალი იყო მართლმსაჯულება და ჰყავდა ბრიტანეთში დაბადებული 16 წლის ვაჟი. იგი დააპატიმრეს კონტრაბანდის სახით მობილური ტელეფონის SIM ბარათის ციხეში შეტანისთვის და მიუსაჯეს 12 თვით თავისუფლების აღკვეთა. სასჯელის მოხდის შემდეგ, ქალს დაემუქრა დეპორტაცია, მაგრამ ბრიტანეთის საიმიგრაციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მისი დეპორტაცია, იმავდროულად, იქნებოდა შვილის გაძევების ტოლფასი. მითითებული გადაწყვეტილება გაასაჩივრა ტერეზა მეიმ, რომელიც მაშინ იყო შინაგან საქმეთა მინისტრი, ხოლო ეროვნულმა სასამართლოებმა საქმე გადასცეს ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილების მისაღებად.⁴⁰ მართლმსაჯულების სასამართლომ თავის წინასწარ მოსაზრებაში მიუთითა, რომ დეპორტაცია დაარღვევდა ბავშვის უფლებას ოჯახურ ცხოვრებაზე. ეს მოსაზრება გამოიყენეს ევროსკეპტიკოსებმა კამპანიის ფარგლებში, როგორც დაუსაბუთებელი ჩარევის მტკიცებულება და საშიში პრეცედენტი დიდი ბრიტანეთის სუვერენიტეტისა და მისი უფლებამოსილების, – (გაეკონტროლებინა ეროვნული სადაზვერვო საქმიანობა), – წინააღმდეგ.⁴¹ სტივ ბეიკერმა, “კონსერვატორები ბრიტანეთისთვის” თავმჯდომარემ, სასამართლოს მითითებულ მოსაზრებასთან დაკავშირებით განაცხადა: „მე აღვნიშნავ, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ვმართოთ ჩვენი ქვეყანა და მივიღოთ ის გადაწყვეტილებები, რომლებიც საზოგადოებას სურს, როდესაც ჩვენ ვეჭვმდებარებით ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს იურისდიქციას...კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ერთადერთი საიმედო არჩევანი არის „კონტროლის დაბრუნება“, რისთვისაც საჭიროა ხმა მივცეთ [ევროკავშირის] დატოვებას.“⁴²

³⁶ *nb. Marbury v. Madison*, 5 U.S. 137 (1803), ხელმისაწვდომია [Marbury v. Madison :: 5 U.S. 137 \(1803\) :: Justia US Supreme Court Center](#)

³⁷ *nb. Catherine Baksi*, “Landmarks in law: the 90s fishing case that stoked UK Euroscepticism”, *the Guardian*, 29 Mar, 2019, ხელმისაწვდომია [Landmarks in law: the 90s fishing case that stoked UK Euroscepticism | Studying law | The Guardian](#)

³⁸ *nb. Judgement of the Court in Case C-304/14, Secretary of State for the Home Department v CS*, 2016, ხელმისაწვდომია [EUR-Lex – 62014CJ0304 – EN – EUR-Lex \(europa.eu\)](#)

³⁹ *nb. Alan Travis*, “Criminals with UK children cannot be automatically deported, says EU court”, *The Guardian*, 4 Feb, 2016, ხელმისაწვდომია [Criminals with UK children cannot be automatically deported, says EU court | Immigration and asylum | The Guardian](#)

⁴⁰ *nb. Ian Drury and Martin Robinson*, “Foreign criminals with British children cannot be automatically deported after Moroccan single mother jailed for smuggling wins backing of EU’s top court”, 5 Feb 2016, *Daily Mail*, ხელმისაწვდომია [Foreign criminals with UK children cannot be automatically deported | Daily Mail Online](#)

⁴¹ *nb. Riaan Eksteen*, “The Role of the Highest Courts of the United States of America and South Africa, and the European Court of Justice in Foreign Affairs”, *Springer*, (2019): 382.

⁴² *nb. David Barrett*, “Laura Hughes, Moroccan criminal fighting deportation is Abu Hamza’s daughter-in-law, a Tory MP

ბრექსიტის რეფერენდუმის შემდეგ მალევე, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს დიდმა პალატამ მიიღო გადაწყვეტილება გაერთიანებული სამეფოს მთავრობის მიერ მონაცემების შენახვის შესახებ 2014 წელს ინიცირებულ კანონზე, რომელიც პროვაიდერებს ავალდებულებდა, შეენახათ ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ ინფორმაცია.⁴³ მართლმსაჯულების სასამართლომ დაადგინა, რომ ევროპული სამართალი უკრძალავდა ეროვნულ მთავრობებს ზოგადი და განურჩეველი ფორმით შეეგროვებინათ პერსონალური მონაცემები. ასევე განისაზღვრა, რომ პერსონალური მონაცემები შეიძლება შენახულიყო მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს აუცილებელი იყო მნიშვნელოვანი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნებისთვის. მართლმსაჯულების სასამართლომ მითითებული გადაწყვეტილება მიიღო ეროვნული უსაფრთხოებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შესახებ მიმდინარე მწვავე დებატების დროს. ევროპაში ტერორისტული თავდასხმები მიჩნეული იყო, როგორც ეროვნული მთავრობების მიერ ფარული მიყურადების უფლებამოსილებათა გაფართოების განმაპირობებელი ფაქტორი. შესაბამისად, საკითხის აქტუალურობა განსაკუთრებით საგრძნობი იყო. ბრექსიტის რეფერენდუმის შემდეგ მალევე მიღებულმა ამ გადაწყვეტილებამ კიდევ უფრო გაამწვავა სიტუაცია და გაერთიანებული სამეფოს პოლიტიკურ ელიტაში გააძლიერა ევროკავშირის მიმართ მზარდი უკმაყოფილება და ანტაგონიზმი.⁴⁴

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს ფაქტორი გადამწყვეტი მნიშვნელობის იყო არა მხოლოდ რეფერენდუმის დღემდე, არამედ განსაკუთრებით მწვავე გახდა ბრექსიტის შედეგების აღსრულების პროცესში რეფერენდუმის შემდეგ. ამ მხრივ, რეფერენდუმის შემდეგ გაერთიანებული სამეფოს ევროკავშირთან მოლაპარაკებების კონტექსტში ერთ-ერთი ყველაზე მწვავე საკითხად იქცა მართლმსაჯულების სასამართლოს იურისდიქცია.⁴⁵ გავლენიანი პოლიტიკური ელიტა მიუთითებდა „კონტროლის დაბრუნებაზე“ იმ კონტექსტში, რომ ბრიტანეთს თავი უნდა დაეღწია მართლმსაჯულების სასამართლოს უზენაესობისგან.⁴⁶ მაგალითად, 2016 წლის საარჩევნო კამპანიის დროს ტერეზა მეის ერთ-ერთი ოფიციალური დაპირება იყო ბრიტანეთში მართლმსაჯულების სასამართლოს იურისდიქციის დასრულება. სხვა სიტყვებით, იგი ამტკიცებდა, რომ ბრიტანეთის კანონმდებლობა შემუშავებული იქნებოდა ვესტმინსტერში, ედინბურგში, კარდიფსა და ბელფასტში, თუ გაერთიანებული სამეფო დატოვებდა ევროპის კავშირს, ხოლო მითითებულ კანონებს გამოიყენებდნენ ეროვნული და არა ლუქსემბურგის სასამართლოს მოსამართლეები.⁴⁷ შესაბამისად, საფუძვლიანია ვარაუდი, რომ მართლმსაჯულების სასამართლოს განზრახვამ ხელი შეუწყო დეკონსტიტუციონალიზაციის მოძრაობას ბრიტანელ ამომრჩეველთა უმრავლესობაში და „კონტროლის დაბრუნება“ განიხილებოდა, როგორც კონსტიტუციური წინააღმდეგობის მცდელობა, რომელიც მოტივირებული იყო გაერთიანებული სამეფოს კონსტიტუციური იდენტობის შეზღუდვით.

დასკვნა

ევროპული ინტეგრაცია ნაწილობრივ არის ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს რეგულაციური და თვითგაძლიერებაზე ორიენტირებული პრაქტიკის შედეგი, რომელმაც ხელი შეუწყო თანამეგობრობის ზენაციონალურ კვაზი-კონსტიტუციურ ერთეულად გადაქცევას. კონსტიტუციონალიზაციის ამ პროცესში წევრი ქვეყნების სუვერენიტეტი შესუსტდა, ხოლო მართლმსაჯულების სასამართლოს უფლებამოსილება გაფართოვდა.⁴⁸ ასეთი აქტივიზმი მტრულად აღიქმება პოლიტიკური

reveals”, The Telegraph, 5 Feb, 2016, ხელმისაწვდომია [Moroccan criminal fighting deportation is Abu Hamza’s daughter in-law, a Tory MP reveals \(telegraph.co.uk\)](https://www.telegraph.co.uk/news/ukpol/1181181/moroccan-criminal-fighting-deportation-is-abu-hamzas-daughter-in-law-a-tory-mp-reveals.html)

⁴³ იხ. Judgement of the Court in joined Cases C-203/15 and C-698/15, *Tele2 Sverige AB v Post- och telestyrelsen and Secretary of State for the Home Department v Tom Watson and Others*, 2016, ხელმისაწვდომია [CURIA – Documents \(europa.eu\)](https://eur-lex.europa.eu/eli/jud_2016/175/o)

⁴⁴ იხ. Riaan Eksteen, “The Role of the Highest Courts of the United States of America and South Africa, and the European Court of Justice in Foreign Affairs”, Springer, (2019): 383.

⁴⁵ იხ. “Brexit: What has the European Court of Justice got to do with the NI Protocol?”, BBC, 12 October, 2021, ხელმისაწვდომია [Brexit: What has the European Court of Justice got to do with the NI Protocol? – BBC News](https://www.bbc.com/news/uk-politics-59444444)

⁴⁶ იხ. “Britain’s unhelpful obsession with the European Court of Justice”, Financial Times, ხელმისაწვდომია [Britain’s unhelpful obsession with the European Court of Justice | Financial Times \(ft.com\)](https://www.ft.com/content/0c1c1c1c-1c1c-1c1c-1c1c-1c1c1c1c1c1c)

⁴⁷ იხ. “The government’s negotiating objectives for exiting the EU: PM speech”, ხელმისაწვდომია [The government’s negotiating objectives for exiting the EU: PM speech – GOV.UK \(www.gov.uk\)](https://www.gov.uk/government/speeches/the-government-s-negotiating-objectives-for-exiting-the-eu-pm-speech)

⁴⁸ იხ. Dieter Grimm, “Europe’s Legitimacy Problem and the Courts”, in D. Chalmers, M. Jachtenfuchs and C. Joerges (eds.), “The

სპექტრის სხვადასხვა მხარეს მყოფი ინტერესთა ჯგუფების მიერ. მაშინ, როცა მსჯელობის საგანია სუვერენიტეტის საკითხი ევროკავშირში, გამოსარკვევია, რეალურად ვინ შეიძლება ჩაითვალოს „სადამფუძნებლო ხელშეკრულების შემოქმედად“, ევროპული სახელმწიფოების მთავრობები თუ მართლმსაჯულების სასამართლოში განწესებული მოსამართლეები?⁴⁹ თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო სასამართლოების მიმართ უკმაყოფილება ფართო ფენომენია, რამდენადაც ბოლო წლებში მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში არსებობს საერთაშორისო სასამართლოების მიმართ წინააღმდეგობის მზარდი ტენდენცია.⁵⁰ გარდა ამისა, გადაჭარბება არ იქნება იმის მტკიცება, რომ ევროკავშირში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა იდენტობით ნაკარნახევი უკმაყოფილება საერთაშორისო სასამართლოების, კერძოდ კი, მართლმსაჯულების სასამართლო მიმართ.⁵¹ ამ ფონზე, ნაშრომი ორიენტირებული იყო იმ პოლიტიკურ დაძაბულობაზე, რომელიც შეიქმნა დიდ ბრიტანეთში მართლმსაჯულების სასამართლოს კონსტიტუციონალიზაციის პროექტის მიმართ. ბრექსიტი, როგორც ისტორიული მოვლენა, შეიძლება გაანალიზდეს სხვადასხვა კუთხით და პერსპექტივიდან, ყურადღება შეიძლება მიექცეს სხვადასხვა გარემოებას, რამაც შესაძლოა აიძულა ბრიტანელ ამომრჩეველთა 52%, ხმა მიეცათ კავშირის დატოვებისთვის. ნაშრომი ამტკიცებს, რომ ამომრჩეველთა მნიშვნელოვანი ნაწილი მოტივირებული იყო და მიიჩნევდა, რომ არ არსებობდა დიდი ბრიტანეთის კონსტიტუციური იდენტობის, ანუ საპარლამენტო სუვერენიტეტის ადდგენის სხვა მექანიზმი, გარდა იმისა, რომ თავი დაეღწიათ მართლმსაჯულების სასამართლოს მუდმივად მზარდი იურისდიქციისთვის.

ბიბლიოგრაფია

1. “Brexit: What has the European Court of Justice got to do with the NI Protocol?”, BBC, 12 October, 2021.
2. “Britain’s unhelpful obsession with the European Court of Justice”, Financial Times.
3. “The government’s negotiating objectives for exiting the EU: PM speech”.
4. “The Supremacy of European Community Law”.
5. Alan Travis, “Criminals with UK children cannot be automatically deported, says EU court”, The Guardian, 4 Feb, 2016.
6. Albert V. Dicey, “Introduction to the Study of the Law of the Constitution”, Liberty Fund ed., (1915).
7. Ambrose Evans-Pritchard, “Brexit vote is about the supremacy of Parliament and nothing else: Why I am voting to leave the EU”, The Telegraph, 13 Jun 2016.
8. Bundesverfassungsgericht, Beschluß Des Ersten Senats vom 18. Oktober 1967 – 1 BvR 248/63 und 216/67.
9. Bundesverfassungsgericht, Beschluß des Zweiten Senats vom 22. Oktober 1986 -- 2 BvR 197/83.
10. Bundesverfassungsgericht, Beschluß des Zweiten Senats vom 29. Mai 1974 -- BvL 52/71.
11. Bundesverfassungsgericht, Beschluß des Zweiten Senats vom 8. April 1987 – 2 BvR 687/85.
12. Catherine Baksi, “Landmarks in law: the 90s fishing case that stoked UK Euroscepticism”, the Guardian, 29 Mar, 2019.
13. Christian Calliess and Gerhard Van der Schyff, “Constitutional Identity in a Europe of Multilevel Constitutionalism” in “Constitutional Identity in a Europe of Multilevel Constitutionalism”, Edited by Christian Calliess, (2019).
14. Court of Appeal of England and Wales, Shields v. E Coomes (Holdings) Ltd. [1979] 1 All ER 456, 462.
15. Court of Justice of the European Union, Case C-304/14, Secretary of State for the Home Department v CS, 2016.

End of the Eurocrats’ Dream: Adjusting to European Diversity”, Cambridge University Press, (2016): 244.

⁴⁹ იხ. K.J. Alter, “Who Are the “Masters of the Treaty”: European Governments and the European Court of Justice” in K.J. Alter (ed.), “The European Court’s Political Power. Selected Essays”, Oxford University Press, (2009): 109.

⁵⁰ იხ. Mikael Rask Madsen, Pola Cebulak and Micha Wiebusch, “Backlash against international courts: explaining the forms and patterns of resistance to international courts”, International Journal of Law in Context (2018): 197.

⁵¹ მაგალითად, პოლონეთის საკონსტიტუციო ტრიბუნალის ბოლოდროინდელი გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ ევროკავშირის ხელშეკრულების ცალკეული ნაწილები შეუთავსებელი იყო პოლონეთის კონსტიტუციასთან, შესაბამისად, ამ გადაწყვეტილებით ევროპული კავშირის სამართალი ნორმათა იერარქიაში მოექცა ეროვნული სამართლებრივი მოწესრიგების ქვემოთ და, შესაბამისად, ექვევებ დადგა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს იურისდიქცია, იხ. Judgment in the name of The Republic of Poland, Ref. No. K 3/21

16. Court of Justice of the European Union, 1/91 Opinion of the Court of 14 December 1991.
17. Court of Justice of the European Union, Case 26-62, Van Gend & Loos, (1963).
18. Court of Justice of the European Union, Case 6/64, Flaminio Costa v ENEL, (1964).
19. Court of Justice of the European Union, Case C-213/89, R (Factortame Ltd) v Secretary of State for Transport, 1990.
20. Court of Justice of the European Union, Case C-294/83 (ECR 1339)—Parti écologiste “Les Verts” v. European Parliament 1986.
21. Court of Justice of the European Union, Cases C-203/15 and C-698/15, Tele2 Sverige AB v Post- och telestyrelsen and Secretary of State for the Home Department v Tom Watson and Others, 2016.
22. Court of Justice of the European Union, Joined cases C-6/90 and C-9/90, Andrea Francovich and Danila Bonifaci and others v Italian Republic, (1991).
23. David Allen Green, “Brexit: why did the ECJ become a UK ‘red line’?”, 17 April, 2017.
24. David Barrett, “Laura Hughes, Moroccan criminal fighting deportation is Abu Hamza's daughter-in-law, a Tory MP reveals”, The Telegraph, 5 Feb, 2016.
25. Dieter Grimm, “Europe’s Legitimacy Problem and the Courts”, in D. Chalmers, M. Jachtenfuchs and C. Joerges (eds.), “The End of the Eurocrats’ Dream: Adjusting to European Diversity”, Cambridge University Press, (2016).
26. Dieter Grimm, “The Democratic Costs of Constitutionalisation: The European Case,” 21 EUR. L.J. 460 (2015).
27. Eric Stein, Lawyers, “Judges, and the Making of a Transnational Constitution”, 75 AM. J. INT’L L. 1 (1981).
28. Henry G. Schermers, “The European Court of Justice: Promoter of European Integration”, 22 AM. J. COMP. L. 444 (1974).
29. Ian Drury and Martin Robinson, “Foreign criminals with British children cannot be automatically deported after Moroccan single mother jailed for smuggling wins backing of EU's top court”.
30. Judgment in the name of The Republic of Poland, Ref. No. K 3/21.
31. Jürgen Schwarze, “Balancing EU Integration and National Interests in the Case-Law of the Court of Justice”, in “The Court of Justice and the Construction of Europe: Analyses and Perspectives on Sixty Years of Case-Law”, Springer, Luxembourg, (2013).
32. Justin Collings, “Democracy's guardians: a history of the German Federal Constitutional Court 1951-2001”, Oxford University Press, USA, (2015).
33. Kenneth A. Armstrong, Brexit Time: Leaving the EU- Why, How and When?, Cambridge University Press, (2017).
34. K.J. Alter, “Who Are the “Masters of the Treaty”: European Governments and the European Court of Justice” in K.J. Alter (ed.), “The European Court's Political Power. Selected Essays”, Oxford University Press, (2009).
35. Lord Ashcroft, “How the United Kingdom voted on Thursday...and why”, 24 June, 2016.
36. Macer Hall, “Boris Johnson urges Brits to vote Brexit to “take back control”, Express, 20 June, 2016.
37. Mark Dawson and Floris deWitte, “From Balance to Conflict: A New Constitution for the EU”, European Law Journal, Vol. 22, No. 2 (2011).
38. Mikael Rask Madsen, Pola Cebulak and Micha Wiebusch, “Backlash against international courts: explaining the forms and patterns of resistance to international courts”, International Journal of Law in Context (2018).
39. Morten Rasmussen and Dorte S. Martinsen, “EU constitutionalisation revisited: Redressing a central assumption in European studies”, European Law Journal Vol. 25, Issue 3.
40. Riaan Eksteen, “The Role of the Highest Courts of the United States of America and South Africa, and the European Court of Justice in Foreign Affairs”, Springer, (2019).
41. Roland Vaubel, “Constitutional Courts as promoters of political centralization: lessons for the European Court of Justice”, Eur J Law Econ, Springer (2009).
42. Sofia Vasilopoulou, “UK Euroscepticism and the Brexit Referendum”, The Political Quarterly, Vol. 87, No. 2, April–June 2016.
43. Supreme Court of the United States, Marbury v. Madison, 5 U.S. 137 (1803).
44. Treaty on European Union and the Treaty on the Functioning of the European Union (TEU).
45. UK legislation, Human Rights Act.
46. UK legislation, Merchant Shipping Act 1988.